საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 1309 2020 წლის 23 ივლისი ქ. თბილისი

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა თაობაზე

იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა განსახლებისა და საცხოვრებელი პირობების შექმნისათვის საჭირო პროცედურების სრულყოფილად და შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, ნება დაერთოს სსიპ – დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს, „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით „განსახლების ადგილებში დევნილთა შენახვა და მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება“ პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებებიდან (პროგრამული კოდი: 27 06 03) მიმართოს საჭირო თანხა სამი ერთეული მაღალი გამავლობისა და ცხრა ერთეული მსუბუქი ავტომობილის კანონმდებლობით დადგენილი წესით შესყიდვისა და მათი შემდგომი მომსახურების მიზნით.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**